



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 81

5 მარტი
“ --- ” ----- 2021 წ

ქ. თბილისი

2016 წლის 19 აპრილს შპს „ალმა ტრანსპორტსა“ (ს/კ: 405142821) (უფლებამონაცვლე - შპს „ალმა“ (ს/ნ: 204873388)) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებაში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი- №160405188) ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ“ ქვეპუნქტისა და 127² მუხლის საფუძველზე, ამასთან, „2016 წლის 19 აპრილს შპს „ალმა ტრანსპორტსა“ (ს/კ: 405142821) (უფლებამონაცვლე - შპს „ალმა“ (ს/ნ: 204873388)) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებაში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი- №160405188) ცვლილებების/დამატებების შეტანისა და ვალდებულებების შესრულების დადასტურების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 24 თებერვლის №21.206.255 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება 2016 წლის 19 აპრილს შპს „ალმა ტრანსპორტსა“ (ს/კ: 405142821) (უფლებამონაცვლე - შპს „ალმა“ (ს/ნ: 204873388)) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებაში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი- №160405188), „2016 წლის 19 აპრილს შპს „ალმა ტრანსპორტსა“ (ს/კ: 405142821) (უფლებამონაცვლე - შპს „ალმა“ (ს/ნ: 204873388)) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებაში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №160405188) ცვლილებების/დამატებების შეტანისა და ვალდებულებების შესრულების დადასტურების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 24 თებერვლის

№21.206.255 განკარგულების დანართით განსაზღვრული შეთანხმების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი



გიორგი ახვლედიანი

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმა ტრანსპორტს“ (ს/ნ: 405142821) (უფლებამონაცვლე - შპს „ალმა“ (ს/ნ: 204873388)) შორის 2016 წლის 19 აპრილის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებაში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N160405188) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

[•] -- , 2021 წელი

ერთი მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, წარმოდგენილი უფროსის, ირაკლი თავართქილაძის (პ/ნ: 01024052796) მიერ (შემდგომში - „სააგენტო“/ „მეიჯარე“) და

მეორე მხრივ, შპს „ალმა“ (ს/ნ: 204873388) წარმოდგენილი მისი დირექტორის, გიორგი ტრაპაიძის (პ/ნ: 01030036519) მიერ (შემდგომში - „კომპანია“/ „მოიჯარე“),

(წინამდებარე შეთანხმებაში, მეიჯარე და მოიჯარე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“)

ვინაიდან, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელი კონსტრუქციის განსათავსებლად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით დროებით სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემის შესახებ“ სააგენტოს 2016 წლის 25 მარტის N 01-1/21 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ აუქციონში (ლოტი N1, აუქციონი N303) 2016 წლის 4 აპრილს გაიმარჯვა შპს „ალმა ტრანსპორტმა“ (ს/კ: 405142821) და სააგენტოს 2016 წლის 4 აპრილის N E-303-1-19553 გადაწყვეტილების საფუძველზე, სააგენტოსა და შპს „ალმა ტრანსპორტს“ (ს/კ: 405142821) შორის 2016 წლის 19 აპრილს გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N160405188) (შემდგომში - „ხელშეკრულება“);

ვინაიდან, 2016 წლის 1 ნოემბერს შპს „ალმა ტრანსპორტი“ (ს/კ 405142821) შეერწყა შპს „ალმას“ (ს/ნ: 204873388) და შპს „ალმა ტრანსპორტის“ (ს/კ 405142821) 2016 წლის 3 ნოემბრის NQN1453825 განცხადების საფუძველზე, ხელშეკრულების მხარედ განისაზღვრა შპს „ალმა“ (ს/ნ 204873388);

ვინაიდან, ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მასშტაბით მოიჯარის მიერ ჯამში 700 (შვიდასი) ერთეული საქალაქო ტრანსპორტის გაჩერების განთავსება;

ვინაიდან, ხელშეკრულების გაფორმების დროისთვის, ხელშეკრულება თან ერთვოდა 3 დანართი: დანართი N3 - იმ ლოკაციების სრული ჩამონათვალი (700 (შვიდასი) ადგილი);, რომელზეც მოიჯარეს უნდა განთავსებინა საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელები; დანართი N2 - იმ 350 მიწის ნაკვეთის ჩამონათვალი, რომლებზეც 2016 წლის 19 აპრილის მდგომარეობით უკვე განთავსებული იყო კონსტრუქციები (აღნიშნული დანართით წარმოდგენილი მიწის ნაკვეთები შედიოდა დანართი N3-ით წარმოდგენილი ლოკაციების ჩამონათვალიში); და დანართი N1 - იმ 62 მიწის ნაკვეთის ჩამონათვალი, რომელიც არ შედიოდა საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელების დანართი N3-ით განსაზღვრულ 700 (შვიდასი) ადგილში;

ვინაიდან, ხელშეკრულების 1.2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების დანართ N2-ში მითითებულ ადგილებზე საიჯარო ქირის გადახდის ვადის ათვლა დაიწყო ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და საიჯარო ქირის გადახდა ხორციელდება თანაბარწილად, ყოველ 3 (სამი) თვეში ერთხელ, არაუგვიანეს ყოველი სამთვიანი პერიოდის გასვლის უკანასკნელი დღისა;

ვინაიდან, ხელშეკრულების 1.3 პუნქტის თანახმად, იმ მიწის ნაკვეთებზე, სადაც ხელშეკრულების გაფორმების დღისათვის არ იყო არსებული საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელი, საიჯარო ქირის გადახდის ვადის ათვლა იწყებოდა ახალი საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელი კონსტრუქციების განთავსების დღიდან და საიჯარო ქირის გადახდა ხორციელდებოდა თანაბარწილად, ყოველ 3 (სამი) თვეში ერთხელ, არაუგვიანეს ყოველი სამთვიანი პერიოდის გასვლის უკანასკნელი დღისა;

ვინაიდან, დანართ N3-ში განსაზღვრული ლოკაციების ნაწილზე, ხელშეკრულების გაფორმების მდგომარეობით, საკადასტრო ერთეულები აზომილი/განსაზღვრული არ იყო და მხარეები, ხელშეკრულების 2.3.1 ქვეპუნქტის საფუძველზე, შეთანხმდნენ, რომ გაჩერების ადგილების აზომვა და რეგისტრაცია განხორციელდებოდა სააგენტოს მიერ, ეტაპობრივად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებულ ადგილებზე და ამავე პუნქტის თანახმად, ყოველ ეტაპზე რეგისტრირებული ახალი ადგილები, შესაბამისი ტიპის აღნიშვნით (პირველი, მეორე და მესამე ტიპი) დანართის (შემდგომში - „ახალი დანართი“) სახით დაერთვებოდა ხელშეკრულებას;

ვინაიდან, ხელშეკრულების 2.3.1 ქვეპუნქტიდან გამომდინარე, 2016 წლიდან დღემდე მხარეებს შორის ფორმდებოდა დამატებითი დანართები (დღეის მდგომარეობით გაფორმებულია ჯამში დამატებით 20 დანართი (დანართი N4 - N23)), რომლის საფუძველზე,

სააგენტო მოიჯარეს ეტაპობრივად გადასცემდა ახალ ლოკაციებს - ხელშეკრულების დანართ N3-ში დასახელებულ 700 ლოკაციაში შემავალი იმ 350 ადგილმდებარეობიდან, რომლებზეც ხელშეკრულების გაფორმების დროისთვის, არ იყო განსაზღვრული ზუსტი საკადასტრო კოდები;

ვინაიდან, ხელშეკრულების ფარგლებში მოიჯარისათვის გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე სხვადასხვა დამოუკიდებელი გარემოებებისა და ობიექტური მიზეზების გამო (ტროტუარების სივიწროვის, ინფრასტრუქტურის არარსებობის, შშმ პირებისათვის გათვალისწინებული პირობების დაუკმაყოფილებლობის გამო და ა.შ.), ვერ მოხერხდა მოსაცდელების მოწყობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ან განთავსდა და შემდგომ განხორციელდა მათი დემონტაჟი;

ვინაიდან, ზემოაღნიშნული მიზეზით, მოიჯარე ვერ ახერხებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შესაბამისად, ზარალდება როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესები მოსაცდელების მოუწყობლობის ან/და გარკვეულ შემთხვევებში, საიჯარო ქირის დაურიცხაობის გამო, ასევე, მოიჯარის მიერ წინასწარ განსაზღვრული კომერციული ინტერესები;

ვინაიდან, რიგ შემთხვევაში, ახალი დანართების საფუძველზე განსაზღვრული მოსაცდელების ადგილმდებარეობა მეორდებოდა (დუბლირდებოდა) ხელშეკრულების დანართ N2-ში გათვალისწინებულ მისამართებთან და მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის გადახდა 2020 წლის 11 მარტამდე ხორციელდებოდა ორმაგად (რიგ შემთხვევებში, სამმაგად) როგორც დანართ N2-ის, ასევე, ახალი დანართების შესაბამისად;

ვინაიდან, მოიჯარეს სატრანსპორტო დაგეგმარებაზე უფლებამოსილი სუბიექტის მითითების გათვალისწინებით, საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელები განთავსებული აქვს ლოკაციებზე, რომლებიც არ შედის ხელშეკრულების N3 დანართში, ასევე, აღნიშნულ ლოკაციებზე სააგენტოსა და მოიჯარეს შორის მიწის ნაკვეთების გადაცემაზე შეთანხმება (ახალი დანართი) არ გაფორმებულა და შესაბამისად, მოიჯარეს აღნიშნულ ლოკაციებზე ფაქტობრივად სარგებლობისათვის საიჯარო ქირა ამ შეთანხმების დადების მომენტამდე არ გადაუხდია;

ვინაიდან, მოიჯარეს სატრანსპორტო დაგეგმარებაზე უფლებამოსილი სუბიექტის მითითების გათვალისწინებით, საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელები განთავსებული აქვს ლოკაციებზე, რომლებიც შედის ხელშეკრულების N3 დანართში, თუმცა აღნიშნულ ლოკაციებზე სააგენტოსა და მოიჯარეს შორის მიწის ნაკვეთების გადაცემაზე შეთანხმება არ გაფორმებულა და შესაბამისად, მოიჯარეს აღნიშნულ ლოკაციებზე ფაქტობრივად სარგებლობისათვის საიჯარო ქირა ამ შეთანხმების დადების მომენტამდე არ გადაუხდია;

ვინაიდან, მოიჯარეს 2020 წლის 11 მარტიდან არ გადაუხდია შესაბამის პერიოდზე დარიცხული საიჯარო ქირა;

ვინაიდან, მოიჯარემ 2020 წლის 24 აგვისტოს N 10/01202373107-61 და 2020 წლის 25 ნოემბრის N10/01203301004-61 განცხადებებით სააგენტოში წარადგინა დღეის მდგომარეობით ფაქტობრივად განთავსებული მოსაცდელების სია და მოითხოვა, განცხადებაზე თანდართული სიისა და პრინციპების გათვალისწინებით, საიჯარო ქირის ხელახალი დაანგარიშება, რომელსაც განხორციელებდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (შემდგომში - „ექსპერტიზის ბიურო“) და აღნიშნულის საფუძველზე, ზედმეტად გადახდილი საიჯარო ქირის ჩათვლა მომავალი შესაბამისი პერიოდის ანგარიშში;

ვინაიდან, მოიჯარის მიერ წარმოდგენილი საიჯარო ქირის დარიცხვის პრინციპებს წარმოადგენდა შემდეგი:

- (1) ხელშეკრულების დანართი N2-ით განსაზღვრულ მისამართებზე საიჯარო ქირის დარიცხვა დაიწყო ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან (19.04.2016);
- (2) იმ მისამართებზე, რომლებიც არ შედის დანართ N2-ში და გათვალისწინებულია სხვა დანართებში, საიჯარო ქირის დარიცხვა დაიწყო მოსაცდელის მოწყობის თარიღიდან. მოწყობის ფაქტი დასტურდება მოიჯარის მიერ მეიჯარისათვის მიწერილი წერილების საფუძველზე;
- (3) დანართი N2-ში განსაზღვრულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებზეც ვერ ხერხდება მოსაცდელის მონტაჟი, საიჯარო ქირის დარიცხვა განხორციელდეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადამდე (18.04.2017);
- (4) იმ მისამართებზე, რომლებიც განთავსებულია ფაქტობრივად, ხელშეკრულების ფარგლებში ასახვის გარეშე, შესაბამისად, არ შედის არცერთ დანართში ან შედის მხოლოდ დანართ N3-ში, საიჯარო ქირის დარიცხვა დაიწყო მოსაცდელის ფაქტობრივად განთავსების თარიღიდან;
- (5) მიწის ნაკვეთები, რომლებზეც დამონტაჟდა მოსაცდელები და შემდგომში მოხდა დემონტაჟი, საიჯარო ქირის დარიცხვა განხორციელდეს დემონტაჟის თვის ჩათვლით;
- (6) იმ მოსაცდელებზე, რომლებიც მეორდება (დუბლირდება) დანართ N2-სა და დანართებს N4-დან 23-ის ჩათვლით, საიჯარო ქირის დარიცხვა განხორციელდეს დანართი N2-ის საფუძველზე ახალი დანართით გათვალისწინებული მოსაცდელის განთავსების თარიღამდე, ხოლო შესაბამისი ახალი დანართით გათვალისწინებული მოსაცდელის განთავსების თარიღიდან დანართი N2-ით დარიცხვა შეჩერდეს და გაგრძელდეს ახალი, შესაბამისი დანართის საფუძველზე;
- (7) იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური შეცდომის გამო, მოსაცდელის მიწის ნაკვეთი მეორდება ახალ დანართებში - N4-დან 23-ის ჩათვლით, საიჯარო ქირის დარიცხვა

განხორციელდეს მხოლოდ ერთი დანართის საფუძველზე, მოსაცდელის ფაქტობრივად განთავსების თარიღიდან;

- (8) საიჯარო ქირის დარიცხვა განხორციელდეს მოიჯარისთვის ფაქტობრივად სარგებლობაში გადაცემულ (ათვისებულ) ფართობზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ასევე განხორციელდა მოსაცდელის ტიპის ფაქტობრივად ცვლილებაც, საიჯარო ქირის დარიცხვა განხორციელდეს ცვლილების თარიღამდე ფაქტობრივად სარგებლობაში არსებულ ფართობზე, ხოლო ცვლილების თარიღიდან - ცვლილების შემდგომ ფაქტობრივად სარგებლობაში არსებულ ფართობზე;
- (9) მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც არ შედის დანართ N2-ში და რომლებზეც ვერ ხერხდება მოსაცდელის მონტაჟი, მათ შორის, სსიპ - არქიტექტურის სამსახურის მიზნით, ქირის დარიცხვა საერთოდ არ უნდა განხორციელდეს;

ვინაიდან, 2020 წლის 26 აგვისტოს N16-01202393036 და 2020 წლის 27 ნოემბრის N16-01203321321 წერილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა და დაადასტურა მოიჯარის წერილით წარმოდგენილი საიჯარო ქირის გადაანგარიშების პრინციპები და წერილზე თანდართულ ცხრილში მითითებული მონაცემები, მათ შორის, ცხრილში მითითებული მონაცემები საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელის ტიპისა და ფართობის ცვლილების, მოსაცდელის რელოკაციის ან/და დემონტაჟის, ასევე, გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო მოიჯარის მიერ ფაქტობრივად (ხელშეკრულების ფარგლებში ასახვის გარეშე) განთავსებული მოსაცდელისა და აღნიშნული ფაქტობრივი ცვლილებების განხორციელების თარიღების თაობაზე;

ვინაიდან, სააგენტომ, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 26 აგვისტოს N16-01202393036 და 2020 წლის 27 ნოემბრის N16-01203321321 პოზიციების გათვალისწინებით, 2020 წლის 27 ნოემბრის N61-01203323085 კორესპონდენციით მოიჯარეს შეატყობინა, რომ იგი არ იყო წინააღმდეგი კომპანიას მიემართა ექსპერტიზის ბიუროსათვის, ხელშეკრულების საფუძველზე, გადასახდელი/გადახდილი საიჯარო ქირის ხელახალი დაანგარიშების მიზნით, 2020 წლის 25 ნოემბრის N10/01203301004-61 წერილში მოცემული საიჯარო ქირის დარიცხვის პრინციპების გათვალისწინებით;

ვინაიდან, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 დეკემბრის N756 დადგენილებით შესული ცვლილებების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვას ან/და მშენებლობის შეტყობინებას არ საჭიროებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილებზე ავტობუსის გაჩერებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა;

ვინაიდან, მოიჯარემ 2021 წლის 11 თებერვლის N N10/01210423157-61 წარმოადგინა სამხარაულოს N000793721 დასკვნა, რომლის თანახმადაც დგინდება, რომ იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში ქ. თბილისში არსებული მოსაცდელების საიჯარო ქირა დანართი N2, დანართები N4-23-ის და ფაქტობრივად განთავსებულ მოსაცდელებზე მონაცემების (დანართებში გათვალისწინების გარეშე) მიხედვით, 2016 წლის 19 აპრილიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შეადგენს - 1 071 807.25 ლარს. ასევე, დასკვნის მიხედვით მოიჯარის მიერ, ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილ თანხას და ხელშეკრულების გაფორმებიდან (19.04.2016) 2020 წლის 11 მარტის ჩათვლით პერიოდში ქ. თბილისში არსებული მოსაცდელების საიჯარო ქირას შორის სხვაობა ზედმეტობით შეადგენს - 764 106.54 (1611920.63-847814.09) ლარს. ამასთან, 2020 წლის 11 მარტიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ქ. თბილისში არსებული მოსაცდელების საიჯარო ქირა შეადგენს - 223 993.16 (1071807.25-847814.09) ლარს. აღნიშნულზე დამატებით, დასკვნაში აღნიშნულია, რომ მოიჯარის მიერ ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილ თანხას და ხელშეკრულების გაფორმებიდან (19.04.2016) 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ქ. თბილისში არსებული მოსაცდელების საიჯარო ქირას შორის სხვაობა ზედმეტობით შეადგენს - 540 113.38 (1611920.63-1071807.25) ლარს;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის „[-]“ [•] და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „[-]“ [•] განკარგულებების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას (შემდგომში - „შეთანხმება“):

1. გაუქმდეს 2016 წლის 19 აპრილს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების N2 – N23 დანართები და ხელშეკრულების N2 და N3 დანართებად განისაზღვროს წინამდებარე შეთანხმების N1 და N2 დანართები.
2. ამ შეთანხმების N1 დანართით განსაზღვრულია ხელშეკრულების ფარგლებში იჯარის საგანი (შემდგომში - „უძრავი ქონება“/„მიწის ნაკვეთი“), რომელზეც წინამდებარე შეთანხმების დადების მომენტისათვის განთავსებულია ან/და ამ შეთანხმების გაფორმების შემდგომ უნდა განთავსდეს საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელები (შემდგომში - „კონსტრუქციები“).
3. ამ შეთანხმების N2 დანართში მითითებული უძრავი ქონება წარმოადგენს ხელშეკრულების 1.3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ალტერნატიულ მიწის ნაკვეთებს(ამ შეთანხმებით დადგენილი რედაქციის შესაბამისად) (შემდგომში - „ალტერნატიული უძრავი ქონება“/„ალტერნატიული მიწის ნაკვეთები“).
4. იმ უძრავ ქონებაზე, რომელზეც კონსტრუქციები ფაქტობრივად განთავსებულია ამ შეთანხმების გაფორმების მომენტისათვის, საიჯარო ქირის დარიცხვა იწყება (გრძელდება) შეთანხმების ხელმოწერის დღიდან, ხოლო, იმ უძრავ ქონებაზე, რომელზეც შეთანხმების გაფორმების დღისათვის არ არის განთავსებული კონსტრუქცია, საიჯარო ქირის გადახდის ვადის ათვლა დაიწყება კონსტრუქციების ფაქტობრივად განთავსების

დღიდან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით. იმ უძრავ ქონებაზე, რომელზეც შეთანხმების გაფორმების მომენტისათვის სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) რეგისტრირებულია მოიჯარის სარგებლობის უფლება, თუმცა არ არის მოცემული წინამდებარე შეთანხმების დანართ N1-ით განსაზღვრული უძრავი ქონების ნუსხაში, ამ შეთანხმების გაფორმებისთანავე შეწყდეს იჯარის ფორმით სარგებლობის უფლება და აღნიშნული აისახოს შესაბამისი მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრიდან ამონაწერში, იჯარის უფლების რეგისტრაციის გაუქმების გზით, სააგენტოს მიერ საჯარო რეესტრისთვის ცალმხრივი მიმართვის საფუძველზე.

5. შევიდეს ცვლილება საიჯარო ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.3.

ა) იმ მიწის ნაკვეთებზე, სადაც ხელშეკრულების გაფორმების დღისათვის არ არის არსებული საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელი (შემდგომში - „კონსტრუქცია“/„მოსაცდელი“), მოიჯარე ვალდებულია კონსტრუქცია განათავსოს უძრავი ქონების მისთვის ხელშეკრულების 2.3.1 ქვეპუნქტით დადგენილი წესით გადაცემიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების N2 დანართში მითითებულ უძრავ ქონებაზე მოიჯარისგან დამოუკიდებელი მიზეზებით შეუძლებელი გახდა კონსტრუქციის განთავსება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო დაგეგმარებაზე უფლებამოსილი სუბიექტის თანხმობის საფუძველზე, მოიჯარე და სააგენტო ხელშეკრულების N3 დანართში მითითებული ალტერნატიული მიწის ნაკვეთებიდან (შემდგომში - „ალტერნატიული მიწის ნაკვეთები/ალტერნატიული უძრავი ქონება“) შერჩეული რომელიმე უძრავი ქონებით ჩანაცვლების თაობაზე შესაბამის ცვლილებებს ასახავენ წერილობით შეთანხმებაში, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას (აღნიშნული შეთანხმების გაფორმებას სავალდებულოდ არ ესაჭიროება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს გადაწყვეტილება). მოიჯარე ვალდებულია კონსტრუქცია განათავსოს შესაბამისი უძრავი ქონების მისთვის ხელშეკრულების 2.3.1 ქვეპუნქტით დადგენილი წესით გადაცემიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში.

გ) საიჯარო ქირის გადახდის ვადის ათვლა დაიწყება მოსაცდელის განთავსების დღიდან და საიჯარო ქირის გადახდა განხორციელდება თანაბარწილად, ყოველ 3 (სამი) თვეში ერთხელ, არაუგვიანეს ყოველი სამთვიანი პერიოდის გასვლის უკანასკნელი დღისა. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, ახალი კონსტრუქციების განთავსების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება მოიჯარეს, მოსაცდელის განთავსებიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში.

დ) იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს/მოიჯარის ან სატრანსპორტო დაგეგმარებაზე უფლებამოსილი სუბიექტის დავალებიდან/მიმართვიდან გამომდინარე, მოიჯარემ განახორციელა მოსაცდელის დემონტაჟი, მოიჯარე ვალდებულია აღნიშნულის

განხორციელებიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში წერილობით შეატყობინოს მეიჯარეს დემონტაჟის თაობაზე, რის საფუძველზეც შეწყდება შესაბამის უძრავ ქონებაზე მოიჯარის იჯარის უფლება, საიჯარო რეესტრში იჯარის უფლების რეგისტრაციის გაუქმების გზით და შესაბამისად, შეწყდება მითითებულ უძრავ ქონებაზე ქირის დარიცხვა.

ე) მოიჯარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 700 ერთეული კონსტრუქციის სრულად განთავსების შემდგომ, საიჯარო ქირის დაანგარიშებისა და მისი გადახდის ადმინისტრირების გამარტივების მიზნით, სააგენტო და მოიჯარე უზრუნველყოფენ ყველა (700 ერთეულ) მიწის ნაკვეთზე საიჯარო ქირის ერთიანი სისტემით დარიცხვასა და გადახდას, შესაბამისად, ყველა საიჯარო ობიექტზე განხორციელდება ერთიანი გადახდის გრაფიკის წარმოება (ერთი ინვოისის საფუძველზე).

ვ) მოიჯარე ვალდებულია, მეიჯარეს წერილობით შეატყობინოს ყოველი მოსაცდელის განთავსების ან/და დემონტაჟის თაობაზე, შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან (მათ შორის, განთავსებული/დემონტირებული მოსაცდელის ამსახველი ფოტომასალა) ერთად, აღნიშნული კონსტრუქციის მხარეთა შორის შეთანხმებულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებიდან/დემონტაჟიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში.

ზ) იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარემ დაარღვია ხელშეკრულების 1.3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული კონსტრუქციის განთავსების ვადა, შესაბამისი უძრავი ქონების მოიჯარისთვის ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით გადაცემიდან 3 (სამი) თვის გასვლის თარიღიდან მოიჯარე ვალდებულია მეიჯარეს გადაუხადოს გადაცემული უძრავი ქონების საიჯარო ქირა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით. წინამდებარე პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, თუ კონსტრუქციის განსაზღვრულ ვადაში განუთავსებლობა გამოწვეულია რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს ბრალით.

თ) მოიჯარე არ არის უფლებამოსილი, კონსტრუქცია განათავსოს იმ უძრავ ქონებაზე, რომელიც მისთვის ხელშეკრულების 2.3.1 ქვეპუნქტით დადგენილი წესით არ არის გადაცემული, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნულის თაობაზე, იგი მითითებას მიიღებს სააგენტოსგან/სატრანსპორტო დაგეგმარებაზე უფლებამოსილი სუბიექტისგან. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარემ კონსტრუქცია განათავსა იმ უძრავ ქონებაზე, რომლის იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე მხარეთა შორის შეთანხმება არ გაფორმებულა, ხელშეკრულების 2.3.1 ქვეპუნქტით დადგენილი წესით, საიჯარო ქირის დარიცხვა განხორციელდება კონსტრუქციის განთავსების დღიდან. ასეთ შემთხვევაშიც, მოიჯარე ვალდებულია კონსტრუქციის ფაქტობრივად განთავსებიდან 24 საათის განმავლობაში შეატყობინოს მეიჯარეს მოსაცდელის განთავსების თაობაზე.“

6. შევიდეს ცვლილება საიჯარო ხელშეკრულების 2.1.1 ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში განსათავსებელი მოსაცდელების/კონსტრუქციების ძირითადი ტიპები (კლასები) და ქვეტიპებია:

ა. ნორმალი

ა.ა) ნორმალი სტანდარტული (3.2 x 1.5 მ)

ა.ბ) ნორმალი მოკლეფრთიანი (3 x 0.5)

ბ. პრემიუმი

ბ.ა) პრემიუმი სტანდარტული (1.72 x 4.2 მ)

ბ.ბ) დიდი ორმხრივი (24.7 x 0.5 მ)

ბ.გ) დიდი ცალმხრივი (24.7 x 0.5 მ)

ბ.დ) პატარა ცალმხრივი (8 x 0.5)

ბ.ე) მეგა პრემიუმი (8 x 1.8 მ)

ბ.ვ) პრემიუმ 2 CLP (3.2 x 1.6 მ)

თითოეულ უძრავ ქონებაზე განსათავსებელი მოსაცდელის ტიპი შეთანხმდება სააგენტოსა და მოიჯარეს შორის, წინასწარ წერილობითი ფორმით (აღნიშნული შეთანხმების გაფორმებას სავალდებულოდ არ ესაჭიროება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს გადაწყვეტილება). ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, სატრანსპორტო დაგეგმარებაზე უფლებამოსილი სუბიექტის მოთხოვნის/თანხმობის საფუძველზე, შესაძლებელია ამ პუნქტისგან განსხვავებული ტიპის ან/და პარამეტრების მოსაცდელის განთავსება. ამასთან, 700 (შვიდასი) ერთეული მიწის ნაკვეთიდან, მოიჯარე ვალდებულია არანაკლებ 100 (ასი) ერთეული პრემიუმ კლასის მოსაცდელი აღჭურვოს ლედ-ეკრანით.“

7. შევიდეს ცვლილება ხელშეკრულების 2.1.2 ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1.2 საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელეები განთავსდეს წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით განსაზღვრულ ლოკაციებზე.“

8. შევიდეს ცვლილება საიჯარო ხელშეკრულების 2.1.10¹ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„2.1.10¹ სატრანსპორტო დაგეგმარებაზე უფლებამოსილი სუბიექტის მოთხოვნის/თანხმობის შემდგომ, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების 2.1.10 ქვეპუნქტითა ან/და სხვა პუნქტებით გათვალისწინებული ზომებისგან განსხვავებული პარამეტრების ან/და განსხვავებული ტიპის მოსაცდელის მოწყობა, განთავსებული/დამონტაჟებული მოსაცდელის შეცვლა ან/და დემონტაჟი. ასეთ შემთხვევაში, სააგენტო და მოიჯარე შესაბამის ცვლილებებს ასახავენ წერილობით შეთანხმებაში (აღნიშნული შეთანხმების გაფორმება სავალდებულოდ არ საჭიროებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს მოწონებას/გადაწყვეტილებას), რომელიც დაერთდება ხელშეკრულებას. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის დათვლა/დარიცხვა განხორციელდება შეცვლილი კონსტრუქციისთვის განკუთვნილი უძრავი ქონების ფართობის შესაბამისად, ფაქტობრივი ცვლილების მომენტიდან, რის თაობაზეც მოიჯარემ სააგენტოს წერილობით უნდა შეატყობინოს კონსტრუქციის განთავსებიდან/ცვლილებიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში.“

9. შევიდეს ცვლილება საიჯარო ხელშეკრულების პირველი მუხლის 2.3 პუნქტის 2.3.1 ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
- „2.3.1 ხელშეკრულების დანართებით განსაზღვრული უძრავი ქონების აზომვას, სიტუაციური ნახაზის მომზადებას (საჭიროებისამებრ) და საჯარო რეესტრში რეგისტრაციას უზრუნველყოფს სააგენტო. აღნიშნულის საფუძველზე სააგენტოსა და მოიჯარეს შორის გაფორმდება წერილობითი შეთანხმება (აღნიშნული შეთანხმებას სავალდებულოდ არ ესაჭიროება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს გადაწყვეტილება), მოიჯარისთვის შესაბამისი მიწის ნაკვეთების გადაცემის თაობაზე, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას. ყოველ ეტაპზე რეგისტრირებული უძრავი ქონების გადაცემა ხორციელდება ზემოაღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, რომლის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამის უძრავ ქონებაზე იჯარის უფლების რეგისტრაციის მიზნით საჯარო რეესტრისთვის მიმართვას, კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. ხელშეკრულების 1.3 ქვეპუნქტის მიზნებისათვის, უძრავი ქონების გადაცემის მომენტად მიიჩნევა საჯარო რეესტრში იჯარის უფლების რეგისტრაციის თარიღი. იჯარის უფლების რეგისტრაციის ხარჯების დაფარვას უზრუნველყოფს მოიჯარე.“
10. საიჯარო ხელშეკრულებიდან ამოღებულ იქნას 2.1.9, 2.1.14, 2.1.24 და 2.2.4 ქვეპუნქტები.
11. მხარეები ადასტურებენ და თანხმდებიან, რომ 2020 წლის 11 მარტის მდგომარეობით, მხარეთა შორის შეთანხმებული პრინციპების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის ბიუჯეტში საიჯარო ქირის სახით ზედმეტად გადახდილ თანხა (შემდგომში - „ზედმეტად გადახდილი თანხა“) შეადგენს 764 106.54 ლარს, ლარს. სააგენტო და მოიჯარე თანხმდებიან, რომ ზედმეტად გადახდილი თანხა ჩათვლილ უნდა იქნას საიჯარო ქირის ანგარიშში, აქედან 2020 წლის 11 მარტიდან 2021 წლის 1 იანვრამდე პერიოდზე ჩათვლილი თანხა შეადგენს 223 993.16 ლარს.
12. ამ შეთანხმების მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ზედმეტად გადახდილი თანხები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას, მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება შეწყდება ვადაზე ადრე, მოიჯარის მიზეზით/ბრალით (მათ შორის, მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო), ხოლო შეწყვეტის მდგომარეობით მის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საიჯარო ქირის სახით ზედმეტად გადახდილი თანხა სრულად ჩათვლილი არ არის.
13. მხარეები თანხმდებიან, რომ ზედმეტად გადახდილი თანხების ჩათვლა ხორციელდება დასკვნით დადგენილი მონაცემების გათვალისწინებით და წინამდებარე შეთანხმების გაფორმების შემდგომ მეიჯარე საიჯარო ქირის დარიცხვას განაგრძობს ფაქტობრივად განთავსებული მოსაცდელების/მათი ფართობებისა და ამ შეთანხმების საფუძველზე მომავალში განხორციელებული ცვლილებების (განთავსებული მოსაცდელების) შესაბამისად.
14. მოიჯარე აცხადებს და ადასტურებს, რომ ზედმეტად გადახდილი საიჯარო ქირის თანხის ან/და მისი ამ შეთანხმების მე-11, მე-12 და მე-13 პუნქტებით გათვალისწინებული ჩათვლის პრინციპებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით მას არ აქვს და არც

მომავალში წარმოეშობა მეიჯარის მიმართ რაიმე სახის პრეტენზიის ან/და მოთხოვნის უფლება, მათ შორის, ნებისმიერი სახის ზიანის, ზარალის, პირგასამტეხლოსა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

15. მოიჯარე აცხადებს და ადასტურებს, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით, წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული ცვლილებების გათვალისწინებით, მას არ აქვს და არც მომავალში წარმოეშობა მეიჯარის მიმართ რაიმე სახის პრეტენზიის ან/და მოთხოვნის უფლება, მათ შორის, ნებისმიერი სახის ზიანის, ზარალის და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებასთან ან/და ხელშეკრულებაში რაიმე პირობების ცვლილებასთან დაკავშირებით, ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან წინამდებარე შეთანხმების დადებამდე მთელ პერიოდში არსებულ ან/და ამ პერიოდთან დაკავშირებით წარმოშობილი/გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე.
16. შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
17. ხელშეკრულების სხვა მუხლები, პუნქტები და დანართები, რომელთა ცვლილებას/ამოღებას არ ითვალისწინებს წინამდებარე შეთანხმება, რჩება უცვლელი.
18. წინამდებარე შეთანხმებისა და ხელშეკრულების პუნქტებს შორის რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე შეთანხმებას.
19. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
20. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ექვემდებარე სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას.

ხელმოწერები:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო

ირაკლი თავართქილაძე (პ/ნ: 01024052796)

შპს „ალმა“ (ს/ნ: 204873388)

გიორგი ტრაპაიძე (პ/ნ: 01030036519)

N	მოსახლედილის მასშტაბით	ფართობი მ² (კვ.მ.)	ფაქტობრივად განთავსებული მთავრობის ტიპი	განთავსებულია
1	უფრო ვენების ინსტიტუტი (მთლიანად განთავსებულია)	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
2	ქვეყნის განვ. სპორტის აკადემია	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
3	ქვეყნის განვ. # 55 (დუბლინი)	5	პრემიები 2 C.L.P	განთავსებულია
4	ქვეყნის განვ. # 55 (დუბლინი)	5	პრემიები 2 C.L.P	განთავსებულია
5	მეცნიერებათა აკადემიის განვ. # 50	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
6	რუსთაველის განვ. 26-ის მიმდ.	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
7	რუსთაველის განვ. 10 კლასიკური გიმნაზიის მიმდ. # 1 კომპლ.	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
8	მ/ს თავისუფლება მოედანი	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
9	კუბანის სკვერი, თავისუფლების მ.ნი. აკვების მხარეს	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
10	რუსთაველის განვ. ქაშუბის ეკლესია მიმდ.	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
11	რუსთაველის განვ. # 37	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
12	მელიქიშვილის განვ. # 14 სასტ. საქართველო	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
13	მელიქიშვილის განვ. # 2 51-ე საჯარო სკოლის მიმდ.	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
14	ფილიპოვსკის (მთლიანად განთავსებულია)	7	პრემიები	განთავსებულია
15	რუსთაველის "ფილიპოვსკის" კომპლ. 47	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
16	გმრთა მოედანი, კოსტავას 63, საბურთალოს მხარეს.	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
17	გმრთა მოედანი, კოსტავას 63, ვაკის მხარეს.	7	პრემიები	განთავსებულია
18	ტყე. უნივერსიტეტის II კორპ. კოსტავას 69	7	პრემიები	განთავსებულია
19	სპორტის სასაზღვრის მიმდ.	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
20	კოსტავას 75-ის მიმდ. ტყე. უნივერსიტეტის IV კორპ.	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
21	ტყე. უნივერსიტეტის VI კორპ. მიმდ. ნაკვეთი 28/023, სააკაძის მ.ნი.	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
22	საკაძის მ.ნი, ტყე. უნივერსიტეტის VI კორპ. მიმდ.	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
23	კოსტავას 72-ის მიმდ. ტყე. უნივერსიტეტის II კორპ. მიმდ.	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
24	ზოოპარკის მიმდ.	7	პრემიები	განთავსებულია
25	კოლმეურნეობის მოედანზე, გარდასასვლელის და პეტიტის ქუჩის გადაკვეთის წარმოადგენს. # 2-ის მოკ. კონკრეტული	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
26	გარდასასვლელის ქ. # 2-ის მოკ. კონკრეტული	7	პრემიები	განთავსებულია
27	გარდასასვლელის # 2	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
28	გარდასასვლელის 2	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
29	გარდასასვლელის ქ. 2 (3)	7	პრემიები	განთავსებულია
30	გარდასასვლელის ქ. 2 (4)	7	პრემიები	განთავსებულია
31	ქვეყნის განვ. # 10-ის მოკ. (ქვეყნის განვ. # 19-ის მიმდ.)	5	პრემიები 2 C.L.P	განთავსებულია

100	ნაუბრისა ქ. # 77-79	2	ნორმალი	განთავსებულია
101	ნუკერის ქ. N:59	5	მღლეში	განთავსებულია
102	ნაუბრის ქ. 100ის პირდ ნუბრის ქ/რის ასახვეთან	2	მღლეში	განთავსებულია
103	ნაუბრის ქ. # 221	2	ნორმალი	განთავსებულია
104	ნაუბრის ქ. # 106	2	ნორმალი	განთავსებულია
105	ნუკერის ქ. N:30 (ნუკერის ქ. I შრის ასახვეს მოედანთან)	2	ნორმალი (მოედანთან)	განთავსებულია
106	ნუკერის ქ. N:88 (ნუკერის ქ. IV შრის ასახვედ, კახიას ქ.)	5	მღლეში	განთავსებულია
107	ნუკერის ქ. N:78 (ნუკერის ქ. III შრის ასახვედ, კახიას ქ.)	5	მღლეში	განთავსებულია
108	ნუკერის ქ. N:71	5	ნორმალი	განთავსებულია
109	ნუკერის ქ. N:97-ის მოედანთან	5	მღლეში	განთავსებულია
110	ნაუბრის ქ. # 77-79-ის პირდაპირ	2	ნორმალი	განთავსებულია
111	ნუკერის ქ. N:54-ის შიდახეობა (ნაუბრის ქ. III შრის ასახვედ, კახიას ქ.)	7	პრემიუმი	განთავსებულია
112	ნუკერის ქ. N:28	5	ნორმალი	განთავსებულია
113	ნუკერის ქ. N:22	5	ნორმალი	განთავსებულია
114	ნუკერის ქ. N:12-ის მოედანთან (ნაუბრის ქ. III შრის ასახვედ, კახიას ქ.)	7	პრემიუმი	განთავსებულია
115	ნაუბრის ქ. # 40-ის მოედ.	5	ნორმალი	განთავსებულია
116	ქ. "კაქეთის უბანის ქ. N:15	7	პრემიუმი	განთავსებულია
117	ქ. "კაქეთის უბანის ქ. N:15	5	ნორმალი	განთავსებულია
118	ქ. "კაქეთის უბანის ქ. N:25	7	პრემიუმი	განთავსებულია
119	ქ. "კაქეთის უბანის ქ. N:43 (დ. "კაქეთის უბანი")	7	პრემიუმი	განთავსებულია
120	ქ. "კაქეთის უბანის ქ. N:22 მოედანის ქუჩის გადაკვეთთან (ქ. "კაქეთის ქ. # 24)	14	მეც პრემიუმი	განთავსებულია
121	ქ. "კაქეთის უბანის ქ. N:43 (დ. "კაქეთის უბანი")	14	მეც პრემიუმი	განთავსებულია
122	ქ. "კაქეთის უბანის ქ. N:12 (თ. "კაქეთის უბანი")	7	პრემიუმი	განთავსებულია
123	ქ. "კაქეთის უბანის ქ. # 6 გზის განყოფილებაში. დიდი ქუჩის ინტერსების მოედ.	5	პრემიუმი 2 CLP	განთავსებულია
124	ქ. "კაქეთის უბანის ქ. N:12 (თ. "კაქეთის უბანი")	14	მეც პრემიუმი	განთავსებულია
125	ქ. "კაქეთის უბანის ქ. N:12 (თ. "კაქეთის უბანი")	5	პრემიუმი 2 CLP	განთავსებულია
126	ქ. "კაქეთის უბანის ქ. N:12 (თ. "კაქეთის უბანი")	14	მეც პრემიუმი	განთავსებულია
127	ქ. "კაქეთის უბანის ქ. N:12 (თ. "კაქეთის უბანი")	5	პრემიუმი 2 CLP	განთავსებულია
128	ქ. "კაქეთის უბანის ქ. N:12 (თ. "კაქეთის უბანი")	5	ნორმალი	განთავსებულია
129	ქ. "კაქეთის უბანის ქ. N:12 (თ. "კაქეთის უბანი")	7	პრემიუმი	განთავსებულია
130	ქ. "კაქეთის უბანის ქ. N:12 (თ. "კაქეთის უბანი")	7	პრემიუმი	განთავსებულია
131	ქ. "კაქეთის უბანის ქ. N:12 (თ. "კაქეთის უბანი")	7	პრემიუმი	განთავსებულია
132	ქ. "კაქეთის უბანის ქ. N:12 (თ. "კაქეთის უბანი")	7	პრემიუმი	განთავსებულია
133	ქ. "კაქეთის უბანის ქ. N:12 (თ. "კაქეთის უბანი")	7	პრემიუმი	განთავსებულია

134	სკოლი ავტოპარკების გაშენი N19-ის მიხედვით	7	პრემიები	განთავსებულია
135	დავით აღმაშენებლის გამზ. 60	5	სირმალი	განთავსებულია
136	თამარ მეფის გამზ. პრეროდტ ბანკი- მიმდ (დავით აღმაშენებლის გზაჯვარზე)	14	მეც პრემიები	განთავსებულია
137	დავით აღმაშენებლის გამზ. 171-ის მიმდ (თამარ მეფის გამზ. 2, დავით აღმაშენებლის გადაკვეთასთან)	14	მეც პრემიები	განთავსებულია
138	დავით აღმაშენებლის გამზ. 164-ის მიმდ (დავით აღმაშენებლის გზაჯვარზე)	14	მეც პრემიები	განთავსებულია
139	პროცენტოვ ბანკი (დავით აღმაშენებლის გზა-ქვეყნის)	14	მეც პრემიები	განთავსებულია
140	რეინგზის დარბაზები (თამარ მეფის გამზ. # 15)	14	მეც პრემიები	განთავსებულია
141	სკოლის ძეგლის მიხედვით (სკოლის გაშენის და ვახაბის ქუჩის გადაკვეთასთან)	7	პრემიები	განთავსებულია
142	სკოლის გაშენი N29	7	პრემიები	განთავსებულია
143	სკოლის გაშენი N55	7	პრემიები	განთავსებულია
144	სკოლის გაშენი N69	7	პრემიები	განთავსებულია
145	სკოლის გაშენი N75	7	პრემიები	განთავსებულია
146	სკოლის გაშენი N91-ის მიხედვით	7	პრემიები	განთავსებულია
147	სკოლის გაშენი N99 (მეცა-სა "ბელო")	7	პრემიები	განთავსებულია
148	სკოლის გაშენი N125 (ბილიცა)	7	პრემიები	განთავსებულია
149	პს ავტოპარკი (ქვეყნის რაიონის "უკრაინის პარკი")	7	პრემიები	განთავსებულია
150	პს ავტოპარკი (ქვეყნის სკოლის გაშენი N14-ის მიხედვით, სადა ქუჩის მიხედვით)	7	პრემიები	განთავსებულია
151	სკოლის გაშენი N14-ის მიხედვით (მეცა-სა "ბელო")	7	პრემიები	განთავსებულია
152	სკოლის გაშენი N128	7	პრემიები	განთავსებულია
153	სკოლის გაშენის და სკოლის ქუჩის გადაკვეთა	7	პრემიები	განთავსებულია
154	სკოლის გაშენი N116	7	პრემიები	განთავსებულია
155	სკოლის გაშენი N112	7	პრემიები	განთავსებულია
156	სკოლის გაშენი N74	7	პრემიები	განთავსებულია
157	სკოლის გაშენი N48 (სადა რაიონის სკოლის მიხედვით)	7	პრემიები	განთავსებულია
158	პს "სკოლი"	7	პრემიები	განთავსებულია
159	სკოლის გაშენი N11 (სკოლის ქუჩის გადაკვეთის მიხედვით)	7	პრემიები	განთავსებულია
160	სკოლის გაშენი (სკოლის მიხედვით)	7	პრემიები	განთავსებულია
161	ც. დავითის ქ. N1-ის მიხედვით	7	პრემიები	განთავსებულია
162	რეინგზის დარბაზები (თამარ მეფის გამზ. # 39)	5	პრემიები 2 CLP	განთავსებულია
163	ც. დავითის ქ. # 87-ის მიმდ.	5	პრემიები 2 CLP	განთავსებულია
164	დავითის ქ. მ/რ სადალადების მიმდ.	2	მეცა	განთავსებულია
165	ც. დავითის ქ. N10 სადალადების მიხედვით	5	სირმალი	განთავსებულია
166	ც. დავითის ქ. N29-ის მიხედვით	7	პრემიები	განთავსებულია
167	ც. დავითის ქ. # 259-ის და სადალადების მიმდ.	5	პრემიები 2 CLP	განთავსებულია

168	მ. დღღამიძე, # 303 სკოლა # 11ის მშპ	5	პრემიები 2 CLP	განთავსებულია
169	გერამიშვილის გზა # 329 კონსტანტინე საქარბელოს მოედ	5	პრემიები 2 CLP	განთავსებულია
170	დღღამიძის 222ის მიმდ.	5	პრემიები 2 CLP	განთავსებულია
171	მ. დღღამიძის ქ. N 31-ის პირდაპირ კუკუნიას ბაღი (კ. თაღლიანი-გია თ. კუბიაშვილის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარე)	5	პრემიები 2 CLP	განთავსებულია
172	მ. დღღამიძის ქ. # 160ის მიმდ. # 11 რაზმული საგზაო სკოლა	5	პრემიები 2 CLP	განთავსებულია
173	მ. დღღამიძის ქ. # 146ის სამშობლო სახლი # 1ის მიმდ.	5	პრემიები 2 CLP	განთავსებულია
174	ცხელიანის ქ. N 38136-ის მიმდებარე	5	ნორმალი	განთავსებულია
175	ცხელიანის ქ. N 10 საჯარო სკოლის მიმდებარე	5	ნორმალი	განთავსებულია
176	მზ. აბაქაძე-დღღამიძის მიმდებარე	7	პრემიები	განთავსებულია
177	ცხელიანის ქ. N 39-ის მიმდებარე	7	პრემიები	განთავსებულია
178	ტყეაშვილის ქ. კალაქაძე-ხადაძის ხაღის მიმდებარე - 1	5	ნორმალი	განთავსებულია
179	ტყეაშვილის ქ. კალაქაძე-ხადაძის ხაღის მიმდებარე - 2	5	მდღეში	განთავსებულია
180	ცხელიანის ქ. N1 მიმდებარე	7	პრემიები	განთავსებულია
181	მ. გერამიშვილის გზა, N11-ის მიმდებარე (საყოველთაო მომსახურების სახლი)	5	ნორმალი	განთავსებულია
182	მ. გერამიშვილის გზა, N17-ის მიმდებარე (ქართულ-აშშ-ის ურთიერთ ურთიერთ სკოლა)	5	ნორმალი	განთავსებულია
183	მ. გერამიშვილის გზა, N25-ის მიმდებარე (საბავშვო ქუჩის გადაკვეთის მიმდებარე)	7	პრემიები	განთავსებულია
184	მზ. აბაქაძე-დღღამიძის მიმდებარე	7	პრემიები	განთავსებულია
185	მ. გერამიშვილის გზა, N23-ის მიმდებარე (N4 საჯარო სკოლის მიმდებარე)	5	მდღეში	განთავსებულია
186	მ. გერამიშვილის გზა, N23-ის მიმდებარე	7	პრემიები	განთავსებულია
187	მ. გერამიშვილის გზა, N23-ის მიმდებარე	5	ნორმალი	განთავსებულია
188	მ. გერამიშვილის გზა, N23-ის მიმდებარე	5	პრემიები 2 CLP	განთავსებულია
189	მ. გერამიშვილის გზა, N23-ის მიმდებარე	5	მდღეში	განთავსებულია
190	მ. გერამიშვილის გზა, N23-ის მიმდებარე	5	მდღეში	განთავსებულია
191	მ. გერამიშვილის გზა, N23-ის მიმდებარე	14	მეც. პრემიები	განთავსებულია
192	მ. გერამიშვილის გზა, N23-ის მიმდებარე	5	ნორმალი	განთავსებულია
193	მ. გერამიშვილის გზა, N23-ის მიმდებარე	5	ნორმალი	განთავსებულია
194	მ. გერამიშვილის გზა, N23-ის მიმდებარე	5	ნორმალი	განთავსებულია
195	მ. გერამიშვილის გზა, N23-ის მიმდებარე	5	მდღეში	განთავსებულია
196	მ. გერამიშვილის გზა, N23-ის მიმდებარე	5	ნორმალი	განთავსებულია
197	მ. გერამიშვილის გზა, N23-ის მიმდებარე	5	ნორმალი	განთავსებულია
198	მ. გერამიშვილის გზა, N23-ის მიმდებარე	5	ნორმალი	განთავსებულია
199	მ. გერამიშვილის გზა, N23-ის მიმდებარე	5	ნორმალი	განთავსებულია
200	მ. გერამიშვილის გზა, N23-ის მიმდებარე	5	მდღეში	განთავსებულია
201	მ. გერამიშვილის გზა, N23-ის მიმდებარე	5	მდღეში	განთავსებულია

338	უფოსამის და ანდრო უფოსა ქუჩების გადაკვეთაზე	5	ნორმალი	განთავსებულია
339	იონა პაქელის 9	2	მდლუნი	განთავსებულია
340	ბ.კოლაქიძის ქ. N 33-ე კორპუსის პარკი	5	ნორმალი	განთავსებულია
341	ბ.კოლაქიძის ქ. N 9 კორპუსის პარკი	5	მდლუნი	განთავსებულია
342	ბუღაშვილის ქ. # 15 კორპუსის მიმდ. (თბილისის სასახლის სტრუქტურა)	7	მდლუნი	განთავსებულია
343	ბ.კოლაქიძის ქ. N 33-ე	5	მდლუნი	განთავსებულია
344	ბარტაგას 38-ის მიმდ.	24	მეც. პრემიუმი	განთავსებულია
345	ბარტაგას # 7-ის მიმდ. ბუჩქნარის პარკი	14	მეც. პრემიუმი	განთავსებულია
346	ბარტაგას 7-ის მიმდ. ბუჩქნარის მიმდ.	14	მეც. პრემიუმი	განთავსებულია
347	ბარტაგას # 25-ის მიმდ.	14	მეც. პრემიუმი	განთავსებულია
348	ბარტაგას ქ. N 38-ის მიმდ. პარკი (N 42-ის მიმდ. პარკი)	7	პრემიუმი	განთავსებულია
349	ბარტაგას ქ. N 46 (ბარტაგასის 5 კორპუსი) (ბუჩქნარის მიმდ. პარკი)	7	პრემიუმი	განთავსებულია
350	ბარტაგას ქ. N 18 (ბარტაგასის 34)	5	ნორმალი	განთავსებულია
351	ბარტაგას ქ. N 8 (ბარტაგასის ქ. 30)	5	ნორმალი	განთავსებულია
352	ბარტაგას ქ. N 18-ის მიმდ. პარკი	2	ნორმალი	განთავსებულია
353	ბარტაგას ქ. N 18-ის მიმდ. პარკი	2	ნორმალი	განთავსებულია
354	ბარტაგას ქ. N 17 (ბარტაგასის 34-ის მიმდ. პარკი)	7	პრემიუმი	განთავსებულია
355	ბარტაგას ქ. N 16-ის მიმდ. პარკი	5	ნორმალი	განთავსებულია
356	ბარტაგას ქ. N 20-ის მიმდ. პარკი	2	ნორმალი	განთავსებულია
357	ბარტაგას ქ. N 20-ის მიმდ. პარკი	2	ნორმალი	განთავსებულია
358	ბარტაგას ქ. N 16-12	5	ნორმალი	განთავსებულია
359	ბარტაგას ქ. N 16-ის მიმდ. პარკი	5	მდლუნი	განთავსებულია
360	ბარტაგას ქ. N 1	7	პრემიუმი	განთავსებულია
361	ბარტაგას ქ. N 44	5	ნორმალი	განთავსებულია
362	ბარტაგას ქ. N 36, 1 კმ III კორპუსის პარკი	5	მდლუნი	განთავსებულია
363	ბარტაგას ქ. N 20 კორპუსის პარკი	7	პრემიუმი	განთავსებულია
364	ბარტაგას ქ. N 19-ის მიმდ. პარკი	2	მდლუნი	განთავსებულია
365	ბარტაგას ქ. N 16, 1 კმ III კორპუსის (ბარტაგასის მიმდ. პარკი)	5	მდლუნი	განთავსებულია
366	ბარტაგას ქ. N 16-ის მიმდ. პარკი	7	პრემიუმი	განთავსებულია
367	ბარტაგას ქ. N 20 კორპუსი	5	მდლუნი	განთავსებულია
368	ბარტაგას ქ. N 20 კორპუსის მიმდ. პარკი	2	მდლუნი	განთავსებულია
369	ბარტაგას ქ. N 20 კორპუსის მიმდ. პარკი	2	მდლუნი	განთავსებულია
370	ბარტაგას ქ. N 14-ის მიმდ. პარკი	5	მდლუნი	განთავსებულია
371	ბარტაგას ქ. N 14-ის მიმდ. პარკი	7	პრემიუმი	განთავსებულია

[illegible]

406	კოცხის II კმ VI კორპუსის მიდგომები	7	პრემიუმი	განთავსებულია
407	კოცხის კასივი III კმ IV კორპუსი	7	პრემიუმი	განთავსებულია
408	კოცხის მასივი III კმ I კორპუსი	7	პრემიუმი	განთავსებულია
409	ერისკის I ლავის მასივი VI კმ კორპუსი N22	7	პრემიუმი	განთავსებულია
410	დოიწილაში III მრ N15 კორპ.	7	პრემიუმი	განთავსებულია
411	დოიწილაში III მრ N37 კორპ.	5	მუღიუნი	განთავსებულია
412	დოიწილაში I მრ N14 კორპ.	7	პრემიუმი	განთავსებულია
413	დოიწილაში I მრ N7/8 კორპ.	7	პრემიუმი	განთავსებულია
414	დოიწილაში I მრ N4 კორპ.	7	პრემიუმი	განთავსებულია
415	ფრნავს მუცის გამზირი, მღვანო "აგაფილი"	5	მუღიუნი	განთავსებულია
416	ფრნავს მუცის და ფრნავს მუცის ქუჩის გადაკვეთი	5	მუღიუნი	განთავსებულია
417	ღობნის გ. # 16ის მიმდ.	2	მუღიუნი	განთავსებულია
418	ღობნის ქ. N8ის მიმდებარე	5	მუღიუნი	განთავსებულია
419	ჯოანია და ფრნავს მუცის ქუჩის და კლავის მიმდებარე	5	მუღიუნი	განთავსებულია
420	სარაჯიშელის გამზირის და სარაჯიშელის I შესახვევის გადაკვეთის მიმდებარე	5	მუღიუნი	განთავსებულია
421	სარაჯიშელის მუც. მანქანის ქანძის მიმდ.	2	მუღიუნი	განთავსებულია
422	სარაჯიშელის ქ. N19 კორპ. ქუჩის კარგად	5	მუღიუნი	განთავსებულია
423	სარაჯიშელის ქ. N6-ის მიმდებარე ქ. თ. თ. თ.	5	მუღიუნი	განთავსებულია
424	სარაჯიშელის ქ. N7-ის მიმდებარე	5	მუღიუნი	განთავსებულია
425	სარაჯიშელის და ქუჩის ქუჩის და კლავის მიმდებარე	5	მუღიუნი	განთავსებულია
426	სარაჯიშელის გამზ. N3-ის მიმდებარე	5	მუღიუნი	განთავსებულია
427	სარაჯიშელის გამზირი N7-ის მიმდებარე	5	მუღიუნი	განთავსებულია
428	სარაჯიშელის გამზ. N11	5	მუღიუნი	განთავსებულია
429	სარაჯიშელის გამზირი, სარაჯიშელის სარაჯიშელის	5	მუღიუნი	განთავსებულია
430	სარაჯიშელის გამზირის და სარაჯიშელის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარე	5	მუღიუნი	განთავსებულია
431	სარაჯიშელის და ფრნავს მუცის ქუჩის და კლავის (სარაჯიშელის ქუჩის)	5	მუღიუნი	განთავსებულია
432	N 5 სარაჯიშელის სარაჯიშელის და სარაჯიშელის ქუჩის გადაკვეთის	5	მუღიუნი	განთავსებულია
433	თემის X/მ/მ II კმ # 22 კორპუსის მიმდ.	2	მუღიუნი	განთავსებულია
434	N 5 სარაჯიშელის სარაჯიშელის მიმდებარე (ანაკის დოიწილა და სარაჯიშელის ქუჩის გადაკვეთის)	5	მუღიუნი	განთავსებულია
435	თემის X კმ N22 კორპ.	5	მუღიუნი	განთავსებულია
436	თემის III მრ N15 კორპ.	5	მუღიუნი	განთავსებულია
437	თემის III მრ, 143, 20 კორპ. მიმდ.	5	მუღიუნი	განთავსებულია
438	თემის III მრ IV კმ N57 კორპ. და სარაჯიშელის	5	მუღიუნი	განთავსებულია
439	სარაჯიშელის და სარაჯიშელის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარე	5	მუღიუნი	განთავსებულია

542	მზისანი (ბაზრობის მიმდ.)			არ განთავსებულია
543	მისკოვის ბაზრობა 19-ია პირდაპირ			არ განთავსებულია
544	435ა საფეხებზელი აკოლა (გათარაძის ქ. # 16ა)			არ განთავსებულია
545	წვეულობა ქ. # 13ის მიმდ.			არ განთავსებულია
546	დავით აღმაშენებლის გამზ. # 177 (სონოსტაულის პირდაპირ)			არ განთავსებულია
547	ც. დავითის ქ. # 87ის მიმდ. (გადაცვეთა ურდოთა ურდოთა)			არ განთავსებულია
548	კთ. "საქართველო"-ს მისდებარედ			არ განთავსებულია
549	მზ. "საქართველო"-ს პირდაპირ			არ განთავსებულია
550	დავით აღმაშენებლის ხეივანი, ფერდ. 12. ცესკო			არ განთავსებულია
551	გამლოჯერის ასახევა (პ. სარაჯიშვილის ქ-ის გადაკვეთის მიმდ.)			არ განთავსებულია
552	# 4 სამშობლო სახლია მოვ.			არ განთავსებულია
553	ქარკელაის III ქ-ისა #310 კორპუსი			არ განთავსებულია
554	კალობანი # 15, ნაკვეთი 23/6 მიმდ.			არ განთავსებულია
555	კახეთის კლ. #1000, ქლოლის პანორამა			არ განთავსებულია
556	კახეთის გზატკეცილი, ხილბოსტნეულის ბაზრის წინ (მადონა აგროტექნიკის პირდაპირ)			არ განთავსებულია
557	შამლორ პლაჟისა და აგროტექნიკის დასახლება III ქუჩის გადაკვეთა			არ განთავსებულია
558	ვარკეთილის IV გზ. III კვარტ. # 11 კოი. მიმდ.			არ განთავსებულია
559	ვახუშტის დას. შინდორი პეტრის # 17-ა მიმდ. (ქ. 21-ა კორპ. პირდაპირ)			არ განთავსებულია
560	ვატანაძის # 4-ის მიმდ. (ვატანაძის და ვახუშტის III გზ. ქვ. დასაწყისი გზის მიმდ. ცენტრ კოდელა სახელობა ვალესიამდე)			არ განთავსებულია
561	ვახუშტის III კვ. I კორპუსი			არ განთავსებულია
562	ვახუშტის მისდებარედ (ვატანაძის ქ.)			არ განთავსებულია
563	აგროპორტი, პოლიციის შენობის პირდ.			არ განთავსებულია
564	აბაქაძის ქ. # 29			არ განთავსებულია
565	აბაქაძის ქ. # 47			არ განთავსებულია
566	ბოტანიკური ქ. # 43 (ბოტანიკური და რეკონსტრუქციის ქუჩის გადაკვეთა)			არ განთავსებულია
567	ბრეჟნევიჩის ქ. # 28			არ განთავსებულია
568	ბრეჟნევიჩის ქ. # 3 კორპ.			არ განთავსებულია
569	უნივერსიტეტის ქ. სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიმდ.			არ განთავსებულია
570	პოლიტექნიკური ქ. # 9 (სიხევის უნივერსიტეტის ფილიალი, ქორბ.)			არ განთავსებულია
571	ბიჭო კარბილის ქ. # 1-ის მიმდ.			არ განთავსებულია
572	ბახტაშვილის ქ. # 28			არ განთავსებულია
573	ნუკუშის ქ. # 3-ის ქორბ.			არ განთავსებულია
574	წვეულობის ს/მ/რ. # 30 კორპუსის პირდ.			არ განთავსებულია
575	წვეულობის V მ/რ გადასახევი			არ განთავსებულია

576	ნუეზოსი II მ/რ. II კვ. VII კორპუსის მიმდ.			არ განთავსებულა
577	ნუეზოსი IV მ/რ # 5 კორპ.			არ განთავსებულა
578	კაიკასი, ქ. VI კვ. N2 კორპუსის პირდაპირ			არ განთავსებულა
579	პაიქასი, ღვთისმშობლის პირდაპირ (მოიქცა, ქ. N5-ის პირდაპირ)			არ განთავსებულა
580	დიდის მასივი IV კვ. # 7 კორპ. მიმდ.			არ განთავსებულა
581	კანტელის ქ. დიდის მასივი # 8 კორპუსია მიმდ.			არ განთავსებულა
582	რობაქისი გზა, # 1 კორპუსის პირდ.			არ განთავსებულა
583	ფერაძის # 4 მიმდ. (3 კორპ. პირდ.)			არ განთავსებულა
584	ოქციის X კმ. - უნივერსალი (N24, კ. რაქვის პირდაპირ)			არ განთავსებულა
585	თეშქა მ/რ 11.1 კვ.			არ განთავსებულა
586	თეშქის XI მ/რის II კვ. # 22 კორპუსის შიგ.			არ განთავსებულა
587	თეშქის XI მ/რის და II და III კვ-ის გამყოფი გზა			არ განთავსებულა
588	ქ. ბარბაქაძის ქ. ხაჩ. ბუღაძის ქ. გლდის ქ. პირდაპირ (თეშქის XI კვ. 1 კვ.)			არ განთავსებულა
589	ლევანოვსკის ქ. თეშქის III მ/რ II, # 23 კორპ.			არ განთავსებულა
590	თეშქა III მ/რ, III კვ. 55-ე კორპუსის მიმდ.			არ განთავსებულა
591	ბერძნისა და იპოლიტ ივანოვის ქუჩების გადაკვეთა (რუსტ. ქართლის მიმდ.)			არ განთავსებულა
592	გლდისი მუ. II მ/რ კორპ. # 10-ის მიმდ. (ივანოვის ქ.)			არ განთავსებულა
593	ტერია ქ. გლდისის მუ. 2 მ/რ კორპ. 41-ის მიმდ.			არ განთავსებულა
594	მუხომინი და ბორიშინის ქ. (ბორიშინისა და ნინოშვილის ქუჩების გადაკვეთის შიგ. გადაკვეთის მიმდ.)			არ განთავსებულა
595	ბორიშინის ქ. საბურთალოს კვანძის პირდაპირ/მუხომინის მუ. 2 მ/რ			არ განთავსებულა
596	მუხომინის ნიშნულის ქ. (II მ/რ # 8 კორპუსი)			არ განთავსებულა
597	მუხომინი I მ/რ # 13 კორპუსის მიმდ.			არ განთავსებულა
598	მოცილის ქ. N37-ის მოპირდაპირედ (ქალაქების ზაზარის მოპირდაპირედ)			არ განთავსებულა
599	ბარბაქაძის ქ. საბურთალოს საბურთალოს სკვერის შიგ.			არ განთავსებულა
600	საბურთალოს ინტერპრეტის პირდაპირ			არ განთავსებულა
601	მოცილის ქ. საბურთალოს მიმდ.			არ განთავსებულა
602	მოცილის ქ. 29-29-ის მიმდ.			არ განთავსებულა
603	აგლაშვილის ქ. ზეგანი N7-ის (დღევანდ. 7-ის)			არ განთავსებულა
604	აგლაშვილის ქ. ზეგანი N8 (დღევანდ. 8-ის)			არ განთავსებულა
605	დღევანდ. აგლაშვილის ქ. ზეგანი, საბ. კლდეების ქუჩის მიმდ. (დღევანდ. 8-ის მიმდ.)			არ განთავსებულა
606	დღევანდ. აგლაშვილის ქ. ზეგანი, რაქვის ქ. აგლაშვილის ქ. (დღევანდ. 8-ის მიმდ.)			არ განთავსებულა
607	აგლაშვილის ქ. ზეგანი და დღევანდ. ზეგანის შესასრულებლად			არ განთავსებულა
608	რეკონსტრუქციის მიმდ.			არ განთავსებულა
609	კარგისა და ქუჩის, ურბანული ქუჩის კუთხის მიმდ.			არ განთავსებულა

678	ბასილეთის ქ. შიშის მისიონარი: ს. კორკუციის მხარეს		არ განთავსებულა
679	იქნასკენიელ ციხეში: დიდი ქ. N 16 კორპუსის მასივით		არ განთავსებულა
680	ნავიქის IV კ. V კორპუსის პირე. პირ		არ განთავსებულა
681	საბალონის ქ. N 23 კორპუსის პირე. პირ		არ განთავსებულა
682	გაღდადის საბალონის კორპუსის ქ.		არ განთავსებულა
683	გაღდადის II კ. N 47 კორპუსის მ. სპეციალური ქ.		არ განთავსებულა
684	გაღდადის II კ. N 16 კორპუსის პირე. პირ		არ განთავსებულა
685	გაღდადის პირე. პირ N 38 ან პირე. პირ N 33-ის მხარეს		არ განთავსებულა
686	გაღდადის პირე. პირ N 47-ის მხარეს		არ განთავსებულა
687	გაღდადის პირე. პირ N 10 კორპუსის ქ.		არ განთავსებულა
688	გაღდადის ქ. N 10		არ განთავსებულა
689	გაღდადის ქ. N 10		არ განთავსებულა
690	გაღდადის ქ. N 10		არ განთავსებულა
691	გაღდადის ქ. N 10		არ განთავსებულა
692	გაღდადის ქ. N 10		არ განთავსებულა
693	გაღდადის ქ. N 10		არ განთავსებულა
694	გაღდადის ქ. N 10		არ განთავსებულა
695	გაღდადის ქ. N 10		არ განთავსებულა
696	გაღდადის ქ. N 10		არ განთავსებულა
697	გაღდადის ქ. N 10		არ განთავსებულა
698	გაღდადის ქ. N 10		არ განთავსებულა
699	გაღდადის ქ. N 10		არ განთავსებულა
700	გაღდადის ქ. N 10		არ განთავსებულა